

გუნება

და

ხელოვნება

№ 1

ყოველთვიური

სამხატვრო სალიტერატურო უფრნალი

1920 წ. დეკემბერი

შინაარსი:

| | |
|------------------------------|-----------------------|
| კ. მაყაშვილი | ზამთრის სიზმარი |
| ბ. ახოსპირელი | მებრძოლი |
| დ. თურდოსპირელი | ალილუია... ალილუია... |
| შ. მღვიმელი | * * |
| გ. ქუჩიშვილი | განწირული |
| მ. ქავთარაძე | მეძავი |
| ა. კლიმიაშვილი | ჩემს სირინოზს |
| ელ. პოლუმორდვინოვი | შეყვარებული გული |
| " | ქალი |
| " | სამშობლოს |
| მ. ქავთარაძე | სიყვარული |
| არჩ. მაჭავარიანი | მზე და ვარდი |
| დიანა | Rosael |
| ონე | შორეული ტრფობა |



გუნება და სელოვნება

№ 1

ყოველთვიური

სამხატვრო სალიტერატურო ყურნალი

1920 წ. დეკემბერი

შინაარსი:

| | |
|------------------------------|-------------------------|
| კ. მაყაშვილი | ზამთრის სიზმარი |
| ბ. ანოსპირელი | მებრძოლი |
| დ. თურდოსპირელი | ალილოუია... ალილოუია... |
| შ. მღვინეძე | * * |
| გ. ქუჩიშვილი | განწირული |
| მ. ქავთარაძე | მეძავი |
| ა. კლიშიაშვილი | ჩემს სირინოზს |
| ელ. პალუმორდვინოვი | შეყვარებული გული |
| | ქალი |
| | სამშობლოს |
| მ. ქავთარაძე | სიყვარული |
| არჩ. მაჭავარიანი | მზე და ვარდი |
| დიანა | Rosael |
| ონე | შორეული ტრფობა |

4967



ზამთრის სიზმარი

სუსხიანი დარი...
 ხორხოშელა ცვივა.
 ეკლიანი ქარი
 იჩხვლიტება... ცივა!
 შუადღეა ბნელა!
 მეკუშუება გული,
 მეპარება ნელა
 უცნაური რული...
 მესიზმრება: ძველი
 არაბეთი მწველი;
 უდაბნოთა შორის
 ყვაფილების ველი...
 ნარგიზოვან ჩრდილში
 სევდიანი ვწევარ.
 მეჩვენება ძილში
 რომ მიჯნური... მე ვარ!
 სიყვარულის აღში
 ჩაიფერფლა სული!
 მზე მიქრება თვალში,
 გულს მიფლეთავს წყლული...
 გართხმული ვარ პირქვე
 ვერ მზიდველი ჭირის!
 ჩემს ვაებას იქვე
 იადონიც სტირის!
 რაც გარშემო ჰყვავის
 მე შაპკურებს თავისს
 დამათრობელ სურნელს,
 მაცოცხლებელს, მკურნელს!
 ამაოა!.. არ ვგრძნობ!
 ვეკიდები მტრულად!
 მზეს, ყვაფილებს არ ვსცნობ?...
 მიჩლუნგდება სრულად
 მე გონება, სმენა,
 თვით სიცოცხლის გემო...
 შენ მინდიხარ, შენა,
 ო, ლეილა, ჩემო!
 შემიყვარდი... ხელად
 შევიქენი... ველად

შორს გავიქერ... ახ, რათ
 მომეგლინე მკვლელად?!..
 შემობრალე,.. შენი
 ყმა ერთგული მნახე!
 ღვთაებრივად მშენი
 მომაბრწყინე სახე!..

 მაშინებს!.. მახარებს!..
 ვინ მახლებს ხელს?!
 ეს ხომ არ მაქარებს
 სიკვდილის ცელს?!
 ვინა ხარ, გარშემო
 სხაეებს რომ ჰფენ?...
 რას ვხედავ?! ახ, ჩემო
 ლეილა, შენ,??...
 უსიტყვოდ, მხურვალედ
 ჩამეკრა გულს!...
 კოცნაში მწყურვალედ
 სული სვამს სულს!...
 გვიმღვრენ ვარდები
 მაყრულსა ნახს..
 გვაწვდიან ნარდები
 სურნელის თასს!..
 გვივლიან შრომანი
 ფერხულსა წყნარს
 ზამბახთა ღრომანი
 გვეხვევა გარს!
 გვირგვინად ბედნიერთ
 მზე გვცდვას თავს:
 მიჯნურთა მშვენნიერთ
 ლოცავს და რთავს?...
 ნარნარო, ტანსარო!
 ლეილა!.. ახ!..

 მეღვიძება... დარი
 სუსხიანი... ცვივა
 ხორხოშელა... ქარი
 იჩხვლიტება... ცივა!

ბ. ახოსპირელი

მეგრული

(ძველ მთავრობის მიერ აკრძალული ლექსი)

შენ ბორკილი ხარ, ჩემს მაჯაზე
მტკიცედ ნაჭედი
შენ ყორანი ხარ, მარად თან მდევ,
ვით შავი ბედი;
—მე ფოლადი ვარ, შიშველ მკერდით
ვლენავ შენს რკინებს,
მე ის გველი ვარ, ვინც დღე და ღამ
თავს დაგსისინებს.
შენ სიკვდილი ხარ, ჩემს მტანჯველად
მოვლინებული,
გსურს თავს დაშეცე, შეუპოვრად
ჭამიპო გული;
—სიკვდილის მკვლელად დამისახავს
მე ჩემი თავი,
მიწას ლოკს შიშით ჩემს წინაშე
სულთა-მხუთავი
შენ მონობა ხარ, შემლახველი
კაცთა სულისა,
შენ ხარ მოსურნე ამა სოფლის
აღსასრულისა;
—მე ხალხთ უფლების მედროშე ვარ,
ცეცხლში გზნებული
მსურს გაცამტვერდეს რაც ძველია,
დახავსებული.
როცა ყოველი მოისვენებს
და დაწყნარდება,
ჩემი სიციცხლის ძაფიც, მხოლოდ
მაშინ შესწყდება.

დ. თურდოსპირელი

აღიღუჟია... აღიღუჟია...

საფლავის ქვის წარწერასავით ნაღვლიანი ჩამოწვა
ბინდ ბუნდი შემოდგომისა.

უხმოდ შემოიპარა შავი სიზმარი კაეშანისა,

—ჩვენ გარიჟრაჟის დახოცილი ზღაპრები ვართ..

—ჩვენ ცისარტყელის გაცრიატებული ფერადები ვართ..

—ჩვენ სიხარულის დამკჳნარი სიცილი ვართ..

—ნელა, ნელა! ფეხი არ დაგვადგათ ჟივ-ჟივებენ
სუნ-მიღებული ყვავილ ფოთლები, ვითომც მით შეეძლოთ
შენარჩუნება მიკნავებული სიცოცხლისა.

—გვეშინიან; გვეშინიან, მსუსხავ ქარისა-სჩივიან ნისლები
და ხელიხელს არ აშორებენ ერთმანეთს, რომ არ დაიქსაქს-
ნენ ცის უდაბნოში..

—ცივა, ცივა..-ბაბანებს დამზრალი გული და სტირის
ამოსკვნით. მოსთქვამს ისე თითქოს სამუდამოდ დაჰკარგოდეს
ძვირფასი მეგობარი.

—საუკუნეთა ხავს მოკიდებული საგალობელი ამაო-
ბისა საკმევლის კვამლად ეხვევა უზარმაზარ მიცვალებულად
გადაქცეულს გაზაფხულს და უგებს წესს ჟინჯლის წკაპ წკაპით
აღიღუჟია... აღიღუჟია!..

შიო მღვიმელი

*
* *

ძმურად მოდიხარ, გულში კი
არ იშლი ვერაგობასა,
ჩუმი უხამ გესლით აღვივებ
ჩემსკენ მომართულ გმობასა.

მე მაინც სალამს არ გიღეფ
ისევ გიყურებ ძმურადა,
ტკბილის ღიმილით გამარცხებ
რომ შემომხედავ მგლურადა,

და თუ მიდგება ჯიბრზედა
როდი შეგხედავ ქლესადა,
შენსავე კბილებს ვიხმარებ
შენსავე გასალესადა.

რაც შეეხება ბრძოლის ველს
და ბრძოლას მიწის პირადა
არ ვიშველიებ ღიატებს,
ყველგან თავსა ვგრძნობ გმირადა.

და ასე ვამბობთ: ყველანი
უნდა გავიდეთ სწორადა
ვინც მტერს დაუთმოს სამშობლო
„დედამც შეერთოს ცოლადა?“

გ. ქუჩიშვილი

გ ა ნ წ ი ო ო ყ ლ ი

გული მომიკლეს, მომიკლეს გული
 ველარ ვილხინო, ველარ ვიმდერო
 მოამეთა ხელით მკერდ-დაისრული
 ვფართხალებ, როგორც დაქრილი წერო
 ვფართხალებ, ვიწვევ ვცდილობ აფრენას,
 ძირს ვენარცხები, მემსხვრევა ფრთები;
 სისხლი თქრიალით მიმატებს დენას
 ფრინველი ცისა: მიწას ვაკვდები.

მის. ქავთარაძე

მ ე მ ა ვ ი

ხან აქ გხედავ ხან კი იქ,
 ყველა კუთხეს მოხვდები,
 ოჰ ბედშაო, ნეტავი
 რომელ მხარეს მოკვდები?!
 ხან შემთხვევით მარტო ხარ,
 მესმის ჩუმი ქვითინი,
 ხან კი ხშირად ორნი ხართ,
 უწმაწურათ იცინი.
 ხან აქ გხედავ ხან კი იქ,
 საცა უფრო ბნელია,
 ფთხილად დახვალ, ჩუმჩუმად,
 როგორც ქურდი მელია.
 ხან აქ გხედავ. ხან კი შორს,
 ოჰ რა მწარედ ვლონდები,
 მიცნობ ხოლმე დობილო?
 სისწრაფით რად მშორდები?
 ხან აქ გხედავ, ხან კი იქ
 ყველა კუთხეს მოხვდები,
 ოჰ, ბედ-კრულო ნეტავი,
 რა ადგილას მოკვდები?!

ა. კლიმათაშვილი

ჩემს სიზინოზს

შენ სინაზეს გარს მოვაველე სიყვარულის გრძნობა ზღუდეთ,
სულის განცდა ჰანგად გიძღვენ, გული ჩემი მოგე ბუდეთ,
ვერცხლის წვიმის ქსოვილ ცვრებით გიშრის თმები დაგიწანი,
მარმარილოს ქანდაკებათ გამოვკვეთე შენი ტანი;
ზღვის ლეგენდა საოცნებო ლოცვის სხივით ავაზმორე
გადაგზნიქე სათუთ მკლავზედ და ტუჩებში გეამბორე....

*

*

ეგ კოკრები შენ რომ დაგაქვს ბროლის გულოზედ ნებივრები
თვალს იტაცებს, ვნებით ჩემს თვალს საუცხოვო მშვენივრები
ეგ თვალეები ისე მშვენის ღრმა უმთვარო ღამის თქმაში
როგორც ია გარქობილი მილაგებულ ქალის თმაში,
მსხვერპლად გწირავ ჩემს სიყვარულს ლალ-ოცნებას, ფერ-მილეულს
თეთრ მარმაშით ელვარ-გზნებით სიზმრად ერთხელ მოკლინებულს

*

*

შენ მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი იღუმალი ყვავილთ კუბო,
კუბო სადაც მწუხარება ცრემლად უნდა დავაგუბო.
შენში ვხედავ ცის იალქანს მცურავს ზღვაში გარინდებულს,
ცის იალქანს, რომელიც რომ აამაღლებს მკვდრეთით ჩემს სულს,
მაშ მო ჩემთან შეუმჩნევლად, საიმედო ჩანგის ჟღერით
რომ ორნივე გავყვედ ტკბილად ჩვენს ცხოვრებას ნანატრ
მღერით...

ა. კლიშიაშვილი

შეყვარებული გულია

მომწონს შენი თვალები-მგრძნობიერი, მღელვარე,
ვეტრფი მე შენ სინაზის ციურ ბედნიერებას,
ყრმობის დღიდან შენ გპოვე მხოლოდ შენ შეგიყვარე
მონად ვყევარ მგოსანი დღეს შენ მშვენიერებას.

ცაში მთვარეს ხომ ხედავ, მოეღვარეს ნახევრად
ის შენა ხარ ბრინჯაოს დანით ჩამონათალი,
სათუთ აღზრდით სხეული შენი საკვირველება
ლერწამივით ასული მიმზიდველი რათ არი?!.

იქვით გარემოცული დღეს შენთან ვარ მღუმარე
მსურს გაჩვენო იარა შენით მონიჭებული,
დაგარწმუნო თუ როგორ კენესის გული მწუხარე
გული ტრფობით ნატანჯი, შენში შეყვარებული...

ელ. პოლუმორდვინოვი

ქ ა ლ ი

თვალე ახვეული შემოგცქერი, როგორც ღვთაებას და სიცოცხლის ყოველ ძვირფასს თვლებს შენს ფეხთ ქვეშ ვფანტავ; შენ გათვლინებ ჩემ ამაყ სულის ყოველ-გვარ სიფაქიზეს და სიცხოველეს, შენ გამოიწეებ ჩემ ძლიერ ნების-ყოფას მაღალ სურვილებს. ჩემი ყოველ შემოქმედების ხმა შენს გარშემო სიდიდებლად გაისმის; ჩემი აზროვნება ღვთაებად გასახავს, -სიყვარულის ნექტარო!.. გულის ხატებავ!..

როცა შენ თვალთა ისრები ეკვეთებიან ჩემ თვალებს, -ისე სჭირან მათ, რომ როგორც შემოდგომისგან აკვნესებულ ბუნებას შეუწყვეტელად დასტირის აზღვაგებული ღრუბლები, ისეც ისინი დასტირიან თვის სისუსტეს, თვის ფერმკრთალებას. შენი ტუჩების ათრთოლება გულს მიღვლეებს და ეშხი კი გონებას მიკარგავს. შენ წინ თავი მაქვს დახრილი და თვალე-ბი ახვეული შემოგცქერი, ჩემო საუნჯევ..

მაგრამ რა ხარ შენ?! უმწარესი სასმელი სიმშვენიერის სახით. შენი ხმა ისე ისმის, როგორც გველის სისინი და ისე ასხავს გულში სიყვარულის შხამს, რომ სამუდამოთ სწამლავს მას; სინაზეში ჩამოსხმული ეგ შენი ალერსი თავბრუ დამსხმელია და როგორც ნოემბრის გამხმარ ხეებს, გააფთრებული ქარის ხვევნა ქარვის ფერ ფოთლებს უფანტავს, ისეც შენი ყოველი კოცნა სასიცოცხლო ძალას უკარგავს და როგორც მოხუცი ზამთრის ღამეში ბუხრის წინ სთვლის კრიალონის მძივებს, ისეც შენს ხვევნაში სთვლი მის სიცოცხლის დღეებს... სიცოცხლის წუთებს...

მაგრამ რა ხარ შენ?! ნეტავ გქონდეს გონება, რომ შეიგნო ადამიანის მაღალი აზრი, ქეშმარიტებისადმი დაუცხრომელი მისწრაფება, ცხოვრების შინაარსი...

ნეტავი გქონდეს გული, რომ იგრძნო თუ ადამიანი გულის დღევაში რისთვის ატოკებს სიყვარულის იმ ნავებს, რომელსაც ისე დაუნდობლად სძირავ შენს ნებისყოფაში...

ნეტავი გქონდეს ახელილი თვალები, რომ დაინახო შენი ყველა ის მოქმედება, რომელსაც აწარმოებ, როდესაც მფლოა ბელობ სხვის გულს და ნებას... ო, რა სიძულვილის ღირსი ხარ შენ ცხოვრებაში, მაგრამ ეს არგვისმის; სიცილში ატარებ სხვის უბედურებას. ვაიციანე ჩემო ნათელო!..

გლ. პოლომორდინოვი

სამუოგლოს

ჩემი ლექსის პირველ სახეს ბროლის კალმით ამოვხაზავ,
მზობელქვეყნის დათალხულ გულს ვაუთეთრებ სევდის ჩრდილებს
სპეტაკ მკერზედ ავუფლერებ აღტაცების ჰარმონიას
და ცხოვრების სავალ გზაზედ გადაუშლი ვარდ ყვავილებს.

ჩემი ლექსის პირველ სახეს ჩავუქარგავ ფიქრთა ზღაპარს,
რაც ბავშობით წარმომეშვა, რაც სიკვდილით დასრულდება.
ჩემი ყოფნის მოგონება მკრთალ ლანდებად გადიქცევა
და მომავლის ტატნობზე კი სხვა იმეფებს, სხვა იქნება.

და ეხლა კი, როცა გული სასიცოცხლო სხივებს აკრთობს
სევდას დღემდი გამეფებულს ღრუბელთ ლაშქარს გავაყოლებ
თანაც ყოფნის მღელავ ტაღლებს ბრძოლის ცეცხლით შევებმები
და წარმოვსთქვამ სიამაყით:—ამას ყველას გავაგონებ;

საქართველოვ!. შენი შვილი, რომლის გულიც შენთვის ღვივის
შენს მნათობებს შევსტრფიალებ, მსურს მათ ზეცა—დაგიმშვენონ
და მზათა ვარ რომ შენ მაღალ, წმიდით წმიდა—სამსხვერპლოზე
ყველა ჩემი სიამაყე, ჩემივ ხელით დაგისვენო...

მის. ქავთარაძე

ს ი ყ ვ ა რ ყ ლ ი

— ოხ, მცხელა, მცხელა.

— აი, აი ეს ერთიც, ერთიც და.....

ძლივსლა ეღმურტულებდა ახალგაზრდა მწვანე ხავერდოვანი პეპელა რომელსაც ველარ აეცილებინა, იის მხურვალ ლაწვე-ბიდან მოცახცახე ალის ფერი ტუჩები.

— ოხ, მიყვარხარ, მიყვარხარ ჩემო მუდმივო.

ამოსძახოდა. სამაგიეროდ ია, რომელიც ძლივსლა იბრუნებდა დაგუბებულს სულს, და რადგან ენა ხანგრძლივად ველარ ემორჩილებოდა გრძნობებს ისევ მალე ლულავდა მიბნედილ ლურჯ თვალებში

— მწამს, მწამს, შენი გულის ძვერა... ნათლად ვხედავ სი-მართლეს, ჩემო ერთგულო...

მალიმალ იმეორებდა მთვრალი პეპელა, იის მტანჯველ აღ-ვრსის შემდეგ და უფრო გრძნობიერად ახვევდა მოქანცულ ფრთებს. უცბათ იას შეაჭრყოლა. დაფრთხა თავდავიწყებიდან პეპელა ძლივსლა ამოძრავებდა ბალახებში ჩაქედილ ფრთებს. შიშის ზარს შეეცყრო და საშინლად თრთოდა. სიცივე ეგრძნო იას.

მზე ჩასულიყო.

— ოხ! შე დაუნდობელო! ეგ იყო შენი მუდმივობა?! ეკითხებოდა დაავადებულის ხმით პეპელა, რომელიც ცხარე ცრემ-ლებს, ბალახებში ამოგანგლულ ძვირფას ხავერდოვან ფრთებით იშრობდა.

იას შერცხვა, თავი დახარა და მწვანე ფოთოლს ამოეფარა.

არჩ. მაჭავარიანი

მზე და კარდი

ერთ გარიჟრაჟზე გაიფურჩქნა ვარდის კოკორი, გაიხსნა გული და ამომავალ მზის პირველი სხივი ჩაეკონა ნაზი ამბორით, ვარდის ღია გულმა იგრძნო სითბო სხივისა და შეიყვარა იგი, უმწიკვლო იყო სიყვარული მათი და ბედნიერი ვარდი, ვნებით შერხეული, სურნელებას ჰფენდა გარემოს...

მაგრამ აი, ქანც მიღეული ცხოველი მზე მოემზადა მოსასვენებლად და მის ნაზ სხივმაც გამოთხოვების ამბორი უძღვნა ვარდის წითელ ლოყებს.

შეკრთა ვარდი...

არ სურდა სხივის მოშორება, მით ხცოცხლობდა, მას ერთს შეჰხაროდა შეყვარებული.

მზე ჩაესვენა...

ვარდი იღეოდა, უხმოდ ჰკვდებოდა...

და ჩემ მითრთოლვარე ობოლ გულსაც ამომავალ მზის სხივივით მოველინე ჩემო ოცნებავ! ჩემ ღია გულში დაისადგურა შენმა ღიმილმა, რომელიც მათბობდა ლამაზი ტრფობით და... მეც შეგიყვარე.

მაგრამ შენც წახვედი და გამოთხოვების ამბორიც არ აღირსე აღგზნებულ გულსა, უიმედოდ გავყურებ ჩემი სიცოცხლის ვრცელ და ცარიელ ჰორიზონტს, მაგრამ ამაოდ შენ არსად სჩანხარ! მიტოვებული ვარდივით ჩემი გულიც იღევა, უხმოდ ჰკვდება...

ხვალ გარიჟრაჟზე მზის დაბრუნებული სხივი კვლავ გაათბობს დამზრალ ვარდის ლოყებს, მაგრამ... შენ კი აღარ დაუბრუნდები ჩემს გულს გასათბობად!..

ROSAEL

მახსოვს შენ ჩაგბერე ჩემი უკვდავი სული და გაგაჩინე მაშინ როდესაც მოსწყურდი ჩემს ახალგაზღურ ვნებას... როზაელ! მოდი ჩემთან, მოდი ახლოს მე მსურს შენი სახის ხილვა რომელსაც არ შეხებია ჩემი ნუყლის ფერი ბაგენი... ნუ, ნუ მემალვი როზაელ, ნუ არიდებ ჩემს თვალთ ჟღერას შენს ჰაეროვან წამწამთა ჩრდილს მაშინ როდესაც შენი თმის, ნიაღვარი მიქადის წალეკვას.....

გიმზერ როზაელ, გიმზერ რადგანაც ვიცი რომ შენ ძაღვიძს ახსნა ჩემი დასასრულ-დასაბამისა. გიმზერ რადგან ვიცი რომ შენ ხარ ტკბილი მოგონება ჩემი ხანმოკლე სიცოცხლისა და აი ვითვრები შენის ცქერით როზაელ... შემაფარე გიჟო, შენს იღლის სურნელოვან ტევრში სადაც იზრდებიან შენივე გამოწვეულ ოფლის ნამით ადამიანის საამო საყნოსველი ცქრიალა გვირილები... როზაელ! შენ ხომ პირველი კოცნა ხარ უკვდავ სიცოცხლისა ანგელოზის ფრთით შემოჭრილი ჩემს სულში!.. შენ ხომ ცისფერ თვალება ხარ, და აისივით ნაზი მაშ რაღას უყურებ მოდი ჩემთან შენმა „იღბლიანმა კოცნამ“ შეათვისოს ჩვენი დაშორებული ბედნიერება.

რას ვეხვეწები გამილიმე ცერად რომ ვგებ შენმა აკორდის ღიმმა გამიღოს ახშული ჩემი სამოთხის კარები...

როზაელ... მე მხოლოდ ჩონჩხი ვარ შენი სიყვარულის ტურფა ამჟრის; მე მოჩვენება ვარ შენი ზამთრის ბურუსიან ღამისა, მე ხომ ღრმა სამარე ვარ შენი სადაც ინახება დაწყნარებული სურვილი შენი სილამაზისა. მაგრამ შენ ხილვის შემდგომ აღარ ეკუთვნი ჩემს თავს როზაელ!... მოვკვდები როზაილ, და მხოლოდ შენ დამმარხავ ისეთ ქვეყანაში, სადაც სიცოცხლე ვერ შესძლებს ჩემს მოგონებას, მოვკვდები როზაელ და მიმღერ ჩემ საყვარელ კრემლიან რომანსს: „მხოლოდ შენ ერთს“...

ონე

შორეული ტრეობა

მწუხრი ღუმელია. თეთრი ღანდები ოცნებასთან ერთად დაჰფარფატობენ, გრძობენ შეებას და ხარობენ! შეშლილს ჩუმათ მეპარებიან და თმას მივარცხნიან... გველები ელმქტრონის შუქით გაბრწყინებულ იატაკზედ დასრიალებენ გამოცდილ კამელიებსავით, თანაც გულმკერდზედ ჯადოსნურად მეხვევიან და ყურში ჩამსისინებენ: *Eritis sicut Deus xienfes bonum et malum*. ოთახის სიმშვიდეს არღვევს ჯადოსნური საჟამეს წიკ-წიკი და ისარი ნელ-ნელა იძვრის. **ოხ!** ყოველი მისი ჩხაკუნი სიხარულით მათრთოლებს, მოვალედ მხდის მივიდე და ვეამბორო ვით გაზაფხულის დედოფალს, დაუკოცნო გამოწვდილი ხელი ვით ჩემ საიდუმლო გრაციას...

9 დარეკა, მასვე გამოგხმაურა ელსმენის ზარი... ჩემი მწვალგებლნი ჯადოსნები მიიმალნენ -ის არის, რომელსაც უყვარხარი! გადმოსცეს შავი ძვლის ნაკვთებმა.

— გიყვარვარ, მიყვარხარი.. არა, მაინც როდემდის ვიყოთ ელსმენით, უნახავად, მხოლოდ წარმოდგენით შეყვარებულნი?!

მითხარ, მითხარ, ნუ თუ სიყვარულში არ არსებობს ბედნიერება და სულის სიმშვიდე? სთქვა ეს და ჩამოიმტვრა მის თვალთავან ორი უმძიმესი მარგალიტით ნაქედი სიყვარულის ცრემლი და ძირს გაიშალნენ დამსხვრეულ დაღეწილები..

— სიყვარული შორეული... **ოხ!** რა, საწამებელ აღლუმს მართავენ ეს მოზღვავებული ჩონჩხები. ტარტაროზებს ჩემს გვერდით ქორწილი გაუმართავთ; სვამენ სასმელებს და ეჯიფი ჩემ სადღეგრძელოს იმეორებს... საჟამე კი ისევ ისე გულშემზარავად განაგრძობს წინსვლას.

ვიტანჯები, ვიტანჯები, აღარ მახარებს მისი წიკ-წიკი, არამედ უფრო მძლავრად მიმართავს სხეულში ტანჯვის აპოთეოზს... მოქარგული ცრემლები მეღეწებიან...

ჩემი ლამაზი რითმათა წყება, სიმღერა ციური, ჩემი შედეგრი და დაფდაფი აბნეულ დაღეწილები სულ ფეხთ ქვეშ მიყრია...

საათმა 9 ჩამოჰკრა... ელსმენის ზარი კი სდუმს, სდუმს ვით ეგვიპტის სფინქსი, ვით ქვა არაბეთის უღაბნოში. ოხ ნეტა როდემდის?! წკრ. რ..რ...რ....რ...

რაო? გამოუცნობო სახელურის ელსმენო?!

— მი-ყ-ვარ-დი, მიყვარხარ, მე-ყვა-რე-ბი დღემდის შორიდან, დღეს კი მოდი ჩემთან... გამოჰკრთა მომაკვდავის სასომიხილის ხმები ოხ ღმერთო!.. პირველად გნახავ სიკვდილის პირას მყოფს... გათავდა ელსმენით, წარმოდგენით სიყვარული... ვნახავ ხა, ხა, ხა, ხა.

სარეცელის წინ ცრემლებს ლაწალუწი გაჰქონდათ... ფიქალა მარმარ მკერდს ოქროს ძაფით მოქარგული მარმაშო უფარავდა... უსიტყვოდ იწვა ვით მადონა რაფაელისა... ბედნიერება სიმშვიდე, სიყვარულში მართლაც არ არის... აღმობდა ცივს და მღუმარე მარმარილოს კერას.

— არსებობს!..

გაიხეორეს ფანჯრის შუშებმა მოსულთან ერთად. წუთიც ბელზებლის საყვარელმა stilet-მა ჩაისუნთქა და თანაც ხმები ათამაშდნენ.

— არსებობს! სიკვდილი ერთი და მეორე ეს წუთი და ცხელმა მქუხარე კოცნამ ააფერადა დამწუხრებული ოთახი.



8 964
1920

502

თბილისი, 1920

სტამბა „პროგრესი“ ლ. პოლოსოვისა, ლორის-მელიქოვის ქ. № 1.